ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4362540

ნომერი: AR1657745

თარიღი : 29.01.2019

გაცემის თარიღი : 12.02.2019

გაცნობის თარიღი : 11.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N31-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29 ; ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- ქ.თბილისი, პასტერის ქ, #5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 29 იანვრის AR1657745 განცხადებით მომართა შალვა კალანდაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339-ით ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონი,

მოსკოვის გამზირი #29 (ნაკვ. #005/001) # 01.17.11.005.001 (3675 მ2) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე კომერციული ობიექტის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2013 წლის 7 მარტის №577601 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2011 წლის 22 მარტის №339 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის ფუნქციად განისაზღვრა – საყოფაცხოვრებო ობიექტი (ავტოტექმომსახურება). შენიშვნით სახით დაემატა: • ავტოტექმომსახურეობის სახელოსნოები განთავსებულ იქნეს ტერიტორიაზე ისე, რომ მათი მომსახურეობა არ აღიქმებოდეს ცენტრალური ქუჩის მხრიდან; • საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში დაცულ იქნეს მათთან შენობის განთავსების ნორმები, გადატანის საჭიროების შემთხვევაში პროექტი შეთანხმდეს მფლობელთან; • არსებული შენობა–ნაგებობების ნაწილობრივი ან სრული დემონტაჟის საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა. 2015 წლის 19 ნოემბრის №2293377 ბრძნებით აღნიშნულ პირობებს დაემატა საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.11.005.001 ფართობი 3675 კვ.მ. ფუნქციურ ზონად დაფიქსირდა: საზოგადოებრვ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2(რზ–2); დაემატა შენიშვნა: • მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების ხაზი 1.8 მ(იხ.დანართი); • შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა–1–ის (სსზ–1)–ის არეალში და დაემატა ახალი დანართი: სქემა ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის და განაშენიანების რეგულირების ხაზის დატანით (იხ. დანართი).
2016 წლის 30 ივნისის №2684028 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი №01.17.11.005.001 ფართობი 3675 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი №882016360357). დაემატა განახლებული დანართი, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დატანით და შენიშვნის სახით დაემატა: დაცული იქნას ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი.
2016 წლის 27 სექტემბრის №2856622 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011 წ. №339 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი; პირობებიდან ამოღებული იქნა შენიშვნა: ავტოტექმომსახურეობის სახელოსნოები განთავსებული იქნას ტერიტორიაზე ისე, რომ მათი მომსახურეობა არ აღიქმებოდეს ცენტრალური ქუჩის მხრიდან.
ხოლო, 2017 წლის 20 ივნისის №3323149 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის გრაფაში დამატებით დაფიქსირდა ავტოსერვისის შენობა–ნაგებობა. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა შენიშვნა: “ავტოსერვისის სექციების განთავსება განხორციელდეს ისე, რომ მათთან/მასთან მომსახურეობა არ აღიქმებოდეს მთავარი ქუჩის მხრიდან (ჩაუხედავობის პრინციპის დაცვით).“
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ შეიცვალა მიწის ნაკვეთის კოდი, კონფიგურაცია და ფართობი. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339-ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო კოდის (ს/კ #01.17.11.006.047) (4142 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339-ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339-ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირედეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.17.11.006.047, ფართობი 4142 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #902018110220; რეგისტრაციის თარიღი 25/12/2018 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #902018135238, რეგისტრაციის თარიღი 28/12/2018 წ.);

2. ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339-ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული დანართი (იხ.დანართი).

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339-ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2013 წლის 7 მარტის №577601, 2015 წლის 19 ნოემბრის , 2016 წლის 30 ივნისის №2684028, 2016 წლის 27 სექტემბრის №2856622 , 2017 წლის 20 ივნისის №3323149 ბრძნებებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.